

ფონოლოგიური უნარის შესაფასებელი ტესტის სტანდარტიზირება
ქართულენოვანი ბავშვებისთვის

თინათინ ანთიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა
და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2019

სარჩევი

აბსტრაქტი.....	4
შესავალი , საკვლევი საკითხი.....	6
ლიტერატურის მიმოხილვა.....	8
სამეტყველო ბგერების დარღვევა.....	8
<i>სზდ-ს საკლასიფიკაციო სისტემები.....</i>	<i>8</i>
<i>სზდ-ს ქვე ჯგუფები და მათი დახასიათება.....</i>	<i>11</i>
<i>რატომ არის მნიშვნელოვანი სამეტყველო ბგერების დარღვევის სწორი დიაგნოსტიკა</i>	<i>12</i>
<i>სამეტყველო ბგერების დარღვევის ინტერვენცია.....</i>	<i>12</i>
სამეტყველო ბგერების დარღვევის შეფასება.....	14
<i>შეფასების პროცესი.....</i>	<i>14</i>
<i>შეფასების ინსტრუმენტები.....</i>	<i>15</i>
<i>შეფასების პროცესში გამოყენებული მიდგომები.....</i>	<i>17</i>
<i>ფონოლოგიური და არტიკულაციის შესაფასებელი ტესტის შედგენის პრინციპი...19</i>	
ქართული ენის თავისებურებები.....	20
საკვლევი პრობლემა.....	24
კვლევის მეთოდოლოგია.....	26
კვლევის შედეგი.....	28
დისკუსია.....	34

შეჯამება.....	36
გამოყენებული ლიტერატურა.....	38
დანართი # 1.....	42

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია შეიქმნას ქართულენოვანი ფონოლოგიური ცნობიერების სკრინინგ ტესტი და მოხდეს მისი სტანდარტიზება ქართულენოვან პოპულაციაში. სამეტყველო ბგერების დარღვევის სწორი დიაგნოსტიკა შეუძლებელია ბავშვის მშობლიური ენის შესაბამისი ფონოლოგიური პროცესებისა და ფონოლოგიური განვითარების ასაკობრივი ნორმების ცოდნის გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია არსებობდეს შესაბამისი ინსტრუმენტი ქართულ ენაზე. ქართულ ენაში არ არსებობს სამეტყველო ბგერების შესაფასებელი ადაპტირებული და სტანდარტიზებული ინსტრუმენტი. ინსტრუმენტის გარეშე ენისა და მეტყველების თერაპევტებისთვის რთული ხდება პაციენტის დიფერენციალური დიაგნოსტიკა სამეტყველო ბგერების დარღვევებს დროს. სწორი დიაგნოსტიკა მნიშვნელოვანია შემდგომ სწორი თერაპიული ჩარევისთვის, რადგან თერაპიული მიდგომები განსხვავდება ერთმანეთისგან. გამომდინარე იქიდან, რომ ენისა და მეტყველების თერაპია ახალი მიმართულებაა საქართველოში, არ არსებობს შესაფასებელი ინსტრუმენტები, რომელიც ითვალისწინებს ქართული ენის თავისებურებებს. კვლევის ფარგლებში შეიქმნა ქართულენოვანი ფონოლოგიური უნარის შესაფასებელი სკრინინგ-ტესტი, რომელიც მოიცავს ქართულ ენაში არსებულ ყველა თანხმოვანს და მათ ძირითად წყვილებს, სიტყვის ყველა პოზიციაში რაც ქართული ენისთვისაა დამახასიათებელი. ტესტი მოიცავს 52 დასურათებულ სიტყვას. კვლევა ჩატარდა ქალაქ თბილისის 3 საჯარო ბაგა-ბაღში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 3 წლიდან 5 წლამდე 160 ტიპური განვითარების მქონე ქართულენოვანმა ბავშვმა.

შედეგი: კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ შექმნილი ინსტრუმენტი არის ვალიდური ქართულენოვანი ბავშვების მეტყველების შესაფასებლად. მონაცემების სტატისტიკური დამუშავების შედეგად გამოიკვეთა რთული სიტყვები, ამიტომაც მოხდა ტესტში სიტყვების რაოდენობის შემცირება. შექმნილი ინსტრუმენტი საბოლოო ვერსიამდე საჭიროებს დახვეწას და გარკვეული ეტაპების გავლას.

Abstract

The aim of the research is to develop and standardize Georgian phonological screening tests in Georgian population. During diagnostic process of Speech Sound Disorders (SSD), it is important to have own phonological process and phonological developmental norms, taking into consideration linguistic features. Based on this it necessary to have phonological assessment tool in Georgian language. In our really there is no Georgian test, which can be used by speech and language therapist during evaluation children with SSD. Differential diagnosis is impport for further intervention planning, because all the subgroups, which are part of SSD have its own intervention approaches. Due to that, Speech and language therapy is new profession in Georgia there are no such researches and instruments, which considers Georgian linguistic features. During the research, we created Georgian phonological assessment screening test, which contains all Georgian consonants in two-word position and clusters, which is characteristic of our language. Test contains 52 picture words. The research was conducted in three different kindergartens of Tbilisi. 160 children were recruited according age (from 3 to 5), typical development, and monolingual.

Results: The test was measured by Cronbach's alpha and got high crore (0.942). during the data analysis revealed some words which were difficult in every age groups, so plan to omit 8 words from the test and make it shorter. To make the test standardized it need more research and revision.